რეალპოლიტიკა და ჰუმანიტარული ინტერვენციები თანამედროვე პოლიტიკურ ასპარეზზე

თამარ ლორთქიფანიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე პოლიტიკის მეცნიერებების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პოლიტიკის მეცნიერებები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ზურაბ ჭიაბერაშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარ ლორთქიფანიძე, 28.01.2020

აბსტრაქტი

მოცემული კვლევის მიზანი იყო დაედგინა თუ რა ფაქტორები განაპირობებს დემოკრატიული სახელმწიფოს ლიდერის მიერ გადაწყვეტილების მიღებას აწარმოოს თუ არა ჰუმანიტარული ინტერვენცია, როდესაც დგება ფაქტის წინაშე, რომ სხვა სუვერენული ქვეყნის ტერიტორიაზე ადგილი აქვს მასობრივი სისასტიკის შემთხვევას.

ნაშრომში გამოყენებულია თვისობრივი კვლევის მეთოდები, მათ შორის მეორადი წყაროების ანალიზი, რომლის ფარგლებშიც გავეცანით სხვადასხვა ანალიტიკურ ნაშრომებს, კვლევებსა და სტატიებს ჰუმანიტარულ ინტერვენციებსა და რეალპოლიტიკასთან დაკავშირებით. ასევე, ე.წ. შემთხვევის შესწავლის მეთოდოლოგია, რომლის ფარგლებშიც გავეცანით ლიტერატურას კონკრეტულად კოსოვოსა და სირიაში განხორციელებული ინტერვენციების გარშემო საკითხის უკეთ საილუსტრაციოდ. ამასთან, ოფიციალური განცხადებების შესწავლისას გამოყენებულია კონტენტ-ანალიზი. ნაშრომისთვის კოსოვოს ქეისის არჩევა განაპირობა მისმა პრეცედენტულობამ, ხოლო სირიისა - მისმა აქტუალობამ.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ დემოკრატიული ქვეყნების მიერ ჰუმანიტარული ინტერვენციების წარმოებაზე დიდი გავლენა აქვთ რეალპოლიტიკურ ფაქტორებს, მათ შორის თავად ქვეყნის ლიდერის ინტერესებს და ნაკლები - კონფლიქტურ ზონაში ადამიანის უფლებების დაცვის აუცილებლობას.

თუმცა აქვე აღსანიშნავია ის ფაქტორიც, რომ შეუძლებელია რომელიმე პოლიტიკური ლიდერის ინტერესებზე სრული დარწმუნებით საუბარი, ვინაიდან ეს ინტერესები არასდროს არის ხმამაღლა და გულწრფელად გაშუქებული - შესაბამისად, ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ პოლიტიკური კლიმატის გათვალისწინებით წარმოვაყენოთ ვარაუდები, მაგრამ შეუძლებელია რაიმე დაზუსტებით განვაცხადოთ.

საძიებო სიტყვები: რეალპოლიტიკა, ჰუმანიტარული ინტერვენციები, მასობრივი სისასტიკე

Abstract

The purpose of this study was to determine the factors that influence the decision of a democratic state leader whether to conduct a humanitarian intervention when faced with the fact that mass atrocity is taking place in another sovereign country's borders.

The reaserch was conducted using qualitative research methods, primarily secondary sources analysis, in the scope of which various analytical papers, studies, and articles on humanitarian interventions and realpolitik were studied. Another research method used was case study, in the scope of which literature to illustrate specifically the interventions in Kosovo and Syria was analyzed. In addition, content analysis was used when researching official statements. The choice of Kosovo's case for the study was determined by its precedental nature, while the choice of Syria's case – by its current relevance.

The research has determined that realpolitical factors – including the interests of the country's leader – have a major impact on the decisions of democratic countries to conduct humanitarian interventions, compared to the need for human rights protection in the conflict zone.

Though it must be mentioned that we cannot speak of any political leader's interests with full confidence, as these interests are never mentioned loudly and frankly by them - therefore, we can only make assumptions in the light of the political climate, but it is impossible to make any statements with full certainty.

Search keywords: Realpolitik, humanitarian interventions, mass atrocity

მადლობა

წინამდებარე ნაშრომის მომზადება შეუძლებელი იქნებოდა ჩემი სამეცნიერო ხელმძღვანელის, ბ-ნი ზურაბ ჭიაბერაშვილის მხარდაჭერის გარეშე. გულწრფელი მადლობა მას კვლევის მსვლელობისას გაწეული შრომისთვის, ობიექტური დამოკიდებულებისა და მოცემული შენიშვნებისა თუ რჩევებისთვის რომელთაც ნაშრომის ხარისხი მნიშვნელოვნად გაზარდეს.

ასევე გულწრფელი მადლობა ქ-ნ ნინო ფავლენიშვილს ნაშრომის წერისას სტრუქტურულ საკითხებში გაწეული დახმარებისთვის.